ზოგადი ინფორმაცია მეზღვაურთათვის

ტესტურ გამოცდაზე დაშვებისა და ქცევის წესების შესახებ

- ტესტური გამოცდა ტარდება კვირაში 3-ჯერ:
    - ორშაბათს
    - ოთხშაბათს
    - პარასკევს
- გამოცდა იწყება 10:00 სთ-ზე, რეგისტრაციის დრო არის 09:00-დან 10:00 საათამდე;
- მეზღვაურმა გამოცდაზე დასაშვებად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან მეზღვაურის წიგნაკი;
- საგამოცდო პროცესს მონიტორინგს უწევს მეზღვაურთა დეპარტამენტის თანამშრომელი და შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი;
- საგამოცდო პროცესზე მიმდინარეობს ვიდეო-აუდიო მეთვალყურეობა;
- ტესტირების დაწყებამდე მეზღვაურმა მობილური ტელეფონი გამორთულ მდგომარეობაში უნდა გადასცეს მეზღვაურთა დეპარტამენტის წარმომადგენელს. ტელეფონი უბრუნდება ტესტირების დასრულების შემდეგ;
- **აკრძალულია** ტესტირებაზე გამოცხადება პირადობის დამადასტურებული დოკუმენტის გარეშე;
- **აკრძალულია** ტესტირებაზე გამოცხადება არაფხიზელ მდგომარეობაში და შეუფერებელი ჩაცმულობით;
- **აკრძალულია** მობილური ტელეფონის, მეხსიერების ბარათის, ონლაინ საიტების გამოყენება, სხვა გამოსაცდელებთან ურთიერთობა და რაიმე დამატებითი საინფორმაციო მასალის გამოყენება.

მეზღვაურს, რომელიც შემჩნეული იქნება ზემოთ ჩამოთვლილი წესების დარღვევაში ან კანონით აკრძალულ სხვა ქმედებებში, მიეცემა სიტყვიერი გაფრთხილება, ხოლო განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან და 1 თვის განმავლობაში აღარ დაიშვება განმეორებით გამოცდაზე.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო გისურვებთ წარმატებებს!